ხედვა

სკოლა „ანაბასისი“სწავლაზე ორიენტირებული საზოგადოებაა,სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მის მიერ მისაღწევი შედეგები:

-თითოეული მოსწავლის პიროვნების ,მისი ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარება ,მათი ზნეობრივად აღზრდა და სულიერად დახვეწა.

- თავისუფლად მოაზროვნე თაობების აღზრდა;

- მოსწავლეთა დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის ხელშეწყობა და პატივისცემა;

- ტოლერანტობის, მორალური, ზნეობრივი და ჯანსაღი ქცევის ნორმების დამკვიდრება, საინფორმაციო ტექნოლოგიური საშუალებების პრაქტიკულად გამოყენების უნარ–ჩვევებსა და პრაგმატულად მოაზროვნე პიროვნებების ჩამოყალიბებაზე პასუხისმგებლობა.

-მოსწავლეთა მრავალმხრივ განათლებულ,ეროვნულ და სამოქალაქო შეგნების მქონე პიროვნებად ჩამოყალიბება ,მათი აქტიური ცხოვრებისთვის მომზადებულ მოქალაქედ აღზრდა, რათა მათ შეძლონ საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება, საკუთარი თავის რეალიზება ,წარმატებების მიღწევა.

საზოგადოებასთან კონსტრუქციული თანამშრომლობის საფუძველზე ,სკოლაში მასტიმულირებელი და უსაფრთხო ინოვაციური სასწავლო გარემოს შექმნით, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად სწავლებასა და სწავლაში წარმატებების გზით თითოეული ბავშვის მომავლის ფორმირებაზე ზრუნვა

სკოლის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად შეეცდება შექმნას ისეთი საგანმანათლებლო სივრცე, რომელშიც სწავლა იქნება მიმზიდველი დაინტერესებული მშობლებისთვის ,სადაც ნებისმიერი მოსწავლე, მიუხედავად ოჯახური გარემოსი თუ პიროვნული მახასიათებლებისა ,შეძლებს საკუთარი პოტენციალის სრულფასოვან რეალიზებას და მაღალი აკადემიური შედეგების მიღწევას.